

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (შემდგომში – კოლეჯი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის კოლეჯის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, კოლეჯის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

2. სამსახური თავის საქმიანობაში ითვალისწინებს ბოლონის პროცესის ფარგლებში ევროკომისიის, ევროსაბჭოს, იუნესკოსა და სხვა ოფიციალური ორგანიზაციების ეგიდით შესაბამისი პროფილის ევროპული ასოციაციებისა და დაწესებულებების, აგრეთვე, ცალკეული ექსპერტების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო დოკუმენტებს.

მუხლი 2. სამსახურის მიზანი

სამსახურის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო მუშაობის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება

მუხლი 3. სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) კოლეჯის სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასება და მისი გაუმჯობესებისთვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

ბ) შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

გ) საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში კოლეჯის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

დ) კოლეჯის ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესების წარმართვა, სისტემატური თვითშეფასების განხორციელება;

ე) დადგენილი წესის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და სტუდენტთა შესახებ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და ანალიზი;

ვ) სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა.

2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და სტრატეგიის, შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება;

ბ) სწავლებისა და სწავლის პროცესის შეფასების წესებისა და მეთოდის შემუშავება, ხარისხის კონტროლის კრიტერიუმების განსაზღვრა და მათი გამოყენების მეთოდოლოგიის შემუშავება;

გ) დარგობრივი სტანდარტებისა და სპეციალობათა ჩარჩო პროგრამების მიხედვით სასწავლო გეგმების შესაბამისობის დადგენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და ჩარჩო დოკუმენტებთან;

დ) საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება;

ე) საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატური ტექნიკური მონიტორინგის ორგანიზება შემუშავებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული აკადემიური ექსპერტიზის ორგანიზება ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით და შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

ზ) შიდა სტანდარტებისა და შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავება;

თ) კოლეჯის აკადემიური და დამხმარე პერსონალის პერიოდული შეფასების მექანიზმის შემუშავება, სათანადო დოკუმენტაციის მომზადება და შეფასების პროცესის მონიტორინგი;

ი) აკადემიური და დამხმარე პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზი და შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

კ) სტუდენტების სისტემატური გამოკითხვის ორგანიზება, შესაბამისი კითხვარებისა და აუცილებელი დოკუმენტების შემუშავება;

ლ) სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

მ) ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის სისტემატური თვითშეფასების პროცესების განხორციელება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან თანამშრომლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ნ) საგანმანათლებლო სასწავლო გეგმების პროგრამებისა და მოდულების ჩარჩო დოკუმენტებთან, ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;

ო) კოლეჯის საინფორმაციო რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და დამხმარე რესურსების შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან და პროფესიულ სტანდარტებთან, პროგრამებისა და მოდულების ჩარჩო დოკუმენტების მოთხოვნებთან;

პ) სასწავლო საქმიანობასთან და კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება, მათი ანალიზი და დადგენილი წესით მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის;

ჟ) სასწავლო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში კოლეჯის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

რ) თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიისა და კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ჩამოსაყალიბებლად;

ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოლეჯის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და არსებული წესით მისი საჯაროობის უზრუნველყოფა;

ტ) კოლეჯის წესდებით, სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებებით, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 4. სამსახურის სტატუსი, შემადგენლობა, სტრუქტურა და მართვა

1. სამსახური არის კოლეჯის მართვის ორგანო, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. იგი ანგარიშვალდებულია დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

2. სამსახური უფლებამოსილია კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს მოსთხოვოს თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია.

3. სამსახურს უფლება აქვს ერთჯერადი სამუშაოს შესრულებისათვის მოითხოვოს შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოწვევა კონტრაქტის საფუძველზე დადგენილი წესით.

4. სამსახურის შემაღენლობაში შედის ხარისხის მენეჯერი.

5. სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატს კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს კოლეჯის დირექტორი.

6. სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭო სიითი შემაღენლობის უმრავლესობით.

7. სამსახურის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს კოლეჯის დირექტორი.

8. სამსახურის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას კოლეჯის წესდებისა და სამსახურის დებულების შესაბამისად;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის;

გ) ხელმძღვანელობს სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და უზრუნველყოფს მათ შესრულებას;

დ) წარმოადგენს სამსახურს კოლეჯის მართვის ორგანოებთან, ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს კოლეჯს მესამე პირებთან ურთიერთობისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით და კოლეჯის წესდებით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

9. სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა, თანამდებობათა დასახელება და თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის წარდგინებით და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სამტატო ნუსხის შესაბამისად.

10. სამსახურის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს კოლეჯის რექტორი.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაში შედის კოლეჯის დირექტორის მიერ მისი დამტკიცების დღიდან.

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის დასაბუთებული მოთხოვნით კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით.